ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სამშობლოს”

საერთო კრების ოქმი №

ქ.თბილისი 30 აგვისტო 2014 წელი

მრავალბინიანი სახლის მისამართი: ქ.თბილისი დ/მასივი III კვ. 1 კორპუსი

კრების ჩატარების ადგილი ქ.თბილისი დ/მასივი III კვ. 1 კორპუსი

კრების ჩატარების დრო 2014 წელი 30 აგვისტო

მრავალბინიან სახლში ირიცხება ---91--- წევრი

კრებას დაესწრო ---58--- წევრი

ქვორუმი შედგა კრება უფლებამოსილია

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხანაგობის თავმჯდომარე ბ-ნი ანზორ შველიძე.

დღის წესრიგი:

ამხანაგობა „სამშობლოს” მიმდებარედ ამხანაგობა „დიღომი 2007”-ს მშენებარე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის თანხმობის გაცემა.

მოისმინეს:

კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამხანაგობა „დიღომი 2007” ახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ამხანაგობა „სამშობლოს” კორპუსის მიმდებარედ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებულია ამხანაგობა „სამშობლოს” მხარეს სამეზობლო მიწის ზონაში ღიობების და აივნების მოწყობა. ამჟამად ამხანაგობა „დიღომი 2007” ახორციელებს კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და მიზნად აქვს მშენებლობის ნებართვის აღება

ანზორ შველიძე

ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში. კორექტირებული პროექტით მშენებლობა გაგრძელდება არსებული კარკასის გაბარიტებში და კვლავინდებურად ღიობები და აივნები მოეწყობა ჩვენი კორპუსის მხარეს. აღნიშნული აივნების და ღიობების მოწყობაზე საჭიროა ამხანაგობა „სამშობლოს" თანხმობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობა მიტოვებულია 5 წლის განმავლობაში. სამშენებლო ტერიტორიაზე სრულიად მოირღვა დამცავი ღობე, არსებობს დიდი საშიშროება იმისა, რომ მოხდეს რაიმე უბედური შემთხვევა და დამთავრდეს მსხვერპლით. ტერიტორია საგსეა ნაგვით, არის საშინელი ანტისანიტარია და აუტანელი სუნი. იგი აგრეთვე სავსეა მღრღნელებითა და მაწანწალა ძაღლებით, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას. აღნიშნული ტერიტორია გახდა ათასგვარი და გაურკვეველი ხალხის თავშეყრის ადგილი, მუდმივად არის ლოთობის, ჩხუბის, გინებისა და დებოშის შემთხვევები. შექმნილია მუდმივი დაძაბულობის კერა, საფრთხის ქვეშ დგას ჩვენი და ჩვენი შვილების ყოფა და უსფრთხოება.

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ამხანაგობა „დიღომი 2007" წარმოადგენს დეველოპერული კომპანია „ევორდისაგან"" დაზარალებული პირების ერთობლიობას. ყოველივეზემოთქმულიდან გამომდინარე მო'სან'შეწონილი და აუცილებელია გაიცეს თანხმობა ამხანაგობა „სამშობლოს" სამეზობლო მიჯნის ზონაში ღიობების და აივნების მოწყობაზე, რათა დროულად გაგრძელდეს და დამთავრდეს მშენებლობა.

ანზორ შველიძეს დაეთანხმა კრების დამსწრეთაგან 38 წევრი და შესაბამისად გადაწყვიტეს:

1. გაიცეს თანხმობა ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნას ამხანაგობა „დიღომი 2007"-ს მიერ წარმოდგენილი კორექტირებული სამშენებლო პროექტი იმგვარად, რომ პროექტით გათვალისწინებული ღიობები და აივნები მოწყობილ იქნას ამხანაგობა „სამშობლოს" მხარეს, სამეზობლო მიჯნის ფარგლებში.

ამხანაგობა „სამშობლოს" თავმჯდომარე

ანზორ შველიძე

ამხანაგობის წევრები:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140803365
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.07.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2395715
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	36196805518814

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდათერთმეტ ივლისს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა ანზორ შველიძემ რომელმაც წარმოადგინა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "სამშობლო"-ს საერთო კრების ოქმი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ანზორ შველიძემ (დაბადებული 17.05.1939წ. ხარაგაულში, პ/მ #ა1181044 პირადი #01005016825 გაცემული 08.07.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ, მისამართი: თბილისი, დიღმის მას. 3 კვ. კორპ. 1 ბინა 85) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე ოქმზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილება 31-ე მუხლის თანახმად ოთხი ლარი, + 2 (ორი) ლარი აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ" საქ. კანონის 39-ე მუხლისა + ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა დღგ 18 % 0.72 ლარი.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18